

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1324,28 კვ.მ. N1 შენობიდან მე-2 და მე-3 სართულზე 600 კვ.მ. ფართისა და მასზე მიმაგრებული 779 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონის წესით გაქირავებაზე

გამქირავებელი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
ქონების დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1324,28 კვ.მ. N1 შენობიდან მე-2 და მე-3 სართულზე 600 კვ.მ. ფართი და მასზე მიმაგრებული 779 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 27.08.47.030).

სარგებლობის ფორმა - ქირავნობა, პირობიანი აუქციონი

ქირავნობის ვადა – 15 (თხუთმეტი) წელი

პირობა– საგანმანათლებლო დაწესებულების მოწყობა

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი – სარგებლობის უფლება მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამქირავებელს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

განცხადების მიღების ვადა - 2014 წლის 8 მაისის 10:00 საათიდან 2014 წლის 9 ივნისის 10:00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღი– 2014 წლის 9 ივნისი 14:00 საათი

აუქციონის ჩატარების ადგილი – ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული;

საწყისი წლიური ქირის ოდენობა– 6811,90 ლარი

„ბე“– რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი წლიური ქირის ოდენობის 30%-ს- 2044 ლარი;

აუქციონის ბიჯი - 100 ლარი

მონაწილის ბილეთის ფასი - 10 ლარი

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი - ს.ს. პრივატ ბანკი ანგ. №№GE64TP0033030020000011. ს/კ - 233730139.

განაცხადის მიღების ადგილი (მისამართი), ტელეფონი - ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37 ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული; საკონტაქტო პირის ტელ: (591) 32 41 41–რომან ბიწაძე;

კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია -

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებას, ქონების საწყისი წლიური ქირის ოდენობას, რომლის დაქირავებაც სურს მონაწილეს, მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე;

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და „ბე“-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამქირავებლის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თანხის გადახდის პირობები - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან „ბე“- 2044 ლარი, მონაწილის ბილეთი - 10 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე.

ქირავნობის თანხის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ყოველკვარტალურად;

აუქციონის დამატებითი პირობები:

1. აუქციონში გამოტანილი ობიექტის დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულ ქონებაზე ნებისმიერი სახის ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა ყველა ეტაპზე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.
2. ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს 1 თვისა.
3. დამქირავებელი ვალდებულია, დაქირავებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამქირავებლის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია გამქირავებელს.
4. გამქირავებლის მიერ დამქირავებელზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მოქმედების პერიოდში, დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გააქირავოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. ქონების გაქირავების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს ქონების მესაკუთრეს.
5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამქირავებლის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.